საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაბრიელი, კახეთის მთავარი

გაბრიელი, კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 861–881 გარდაბნელი მთავრების – დონაურების საგვარეულოდან. „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, ძმა, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით – ძმისწული ქორეპისკოპოს სამოელ დონაურისა. „მატიანე ქართლისაჲს“ ჩვენებით, გ-ის მმართველობის ბოლო წლებში თბილ. ამირამ გაბულოცმა კახეთის სამთავროს წაართვა გარდაბანი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან (კახეთის სამთავრო), «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982.

თ. პაპუაშვილი